www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

## 2022 ნოემბერი

20.12.2022
www.geostat.ge

20.12.2022

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში**
2022 წლის ნოემბერი

2022 წლის ნოემბერში სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.04 პროცენტით შემცირდა, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზეა ინდექსის 3.6 პროცენტიანი ზრდა.

**2022 წლის ოქტომბერთან შედარებით** ფასები 2.1 პროცენტით გაიზარდა **სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების** ჯგუფზე, რამაც 0.14 პროცენტული პუნქტით იქონია ზეგავლენა ჯამური ინდექსის ცვლილებაზე. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების ზრდა ლითონის მადნებზე (2.9 პროცენტი). ამავე პერიოდში ფასები გაიზარდა **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის** ჯგუფზე (0.04 პროცენტი), რამაც 0.03 პროცენტული პუნქტი შეიტანა მთლიანი ინდექსის ცვლილებაში. ჯგუფში შემავალი პროდუქტებიდან აღსანიშნავია ფასების მატება კვების პროდუქტებზე (1.4 პროცენტი). ამავე დროს, ფასების 2.4 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის** ჯგუფზე, რომლის წვლილმაც თვის ჯამური ინდექსის ცვლილებაში -0.2 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

**12 თვიან პერიოდში** ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

• **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება:** ფასები შემცირებულია 17.8 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე -1.44 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში აღსანიშნავია ფასების კლება ლითონის მადნებზე (-25.7 პროცენტი);

• **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 6.9 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 5.59 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: კვების პროდუქტები (10.3 პროცენტი), ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები (22.9 პროცენტი) და სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები (13.5 პროცენტი);

• **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი:** ფასები შემცირდა 5.3 პროცენტით, რამაც მთლიანი ინდექსის წლიურ ცვლილებაზე -0.49 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა;

• **წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით:** ფასები შემცირდა 2.9 პროცენტით, რამაც მთლიან ინდექსზე -0.07 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა.

20.12.2022

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში**

2022 წლის ნოემბერი

| კოდი | ჯგუფები | 2022 წლის ოქტომბერთან | წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2021 წლის ნოემბერთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|---|
| | **სულ** | **100.0** | **-0.04** | **103.6** | **3.60** |
| **B** | **სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება** | **102.1** | **0.14** | **82.2** | **-1.44** |
| 05 | ნახშირი და ლიგნიტი | 97.4 | 0.00 | 120.0 | 0.02 |
| 06 | ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი | 90.6 | -0.01 | 97.6 | -0.01 |
| 07 | ლითონის მადნები | 102.9 | 0.14 | 74.3 | -1.69 |
| 08 | სამთო-მოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქტები | 101.0 | 0.01 | 119.3 | 0.24 |
| **C** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **100.0** | **0.03** | **106.9** | **5.59** |
| 10 | კვების პროდუქტები | 101.4 | 0.43 | 110.3 | 3.04 |
| 11 | სასმელები | 99.3 | -0.13 | 96.5 | -0.68 |
| 12 | თამბაქოს პროდუქტები | 100.0 | 0.00 | 100.0 | 0.00 |
| 13 | ტექსტილი | 99.8 | 0.00 | 90.3 | -0.03 |
| 14 | ტანსაცმელი | 103.1 | 0.07 | 128.5 | 0.50 |
| 15 | ტყავი და ტყავის ნაწარმი | 100.7 | 0.00 | 102.0 | 0.00 |
| 16 | მერქანი და მერქნის და კორპის ნაწარმი, ავეჯის გარდა; ნაკეთობები ჩალის და წნული მასალებისგან | 97.5 | -0.02 | 100.5 | 0.01 |
| 17 | ქაღალდი და ქაღალდის პროდუქტები | 98.7 | -0.01 | 118.8 | 0.17 |
| 18 | მომსახურება ბეჭდვით და ჩანაწერების აღწარმოებით | 110.6 | 0.08 | 104.6 | 0.04 |
| 19 | კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები | 88.6 | -0.04 | 83.9 | -0.05 |
| 20 | ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები | 93.5 | -0.16 | 122.9 | 2.58 |
| 21 | ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები | 91.4 | -0.14 | 87.8 | -0.21 |
| 22 | რეზინის და პლასტმასის პროდუქტები | 100.3 | 0.01 | 101.1 | 0.04 |

* რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.12.2022

| კოდი | ჯგუფები | 2022 წლის ოქტომბერთან | წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში | 2021 წლის ნოემბერთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | სხვა არალითონური მინერალური პროდუქტები | 100.5 | 0.05 | 113.5 | 1.20 |
| 24 | ძირითადი ლითონები | 98.6 | -0.10 | 84.4 | -1.24 |
| 25 | ლითონის მზა ნაწარმი, მანქანების და მოწყობილობების გარდა | 99.2 | -0.02 | 101.9 | 0.04 |
| 27 | ელექტრომოწყობილობები | 100.5 | 0.00 | 119.0 | 0.11 |
| 28 | მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 98.6 | 0.00 | 90.7 | -0.01 |
| 30 | სხვა სატრანსპორტო მოწყობილობები | 100.0 | 0.00 | 100.3 | 0.00 |
| 31 | ავეჯი | 100.0 | 0.00 | 109.4 | 0.12 |
| 32 | სხვა სამრეწველო საქონელი | 102.0 | 0.00 | 82.4 | -0.05 |
| 33 | მომსახურება მანქანების და მოწყობილობების რემონტით და მონტაჟით | 100.0 | 0.00 | 94.2 | -0.01 |
| **D** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი** | **97.6** | **-0.20** | **94.7** | **-0.49** |
| 35 | ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი | 97.6 | -0.20 | 94.7 | -0.49 |
| **E** | **წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით** | **99.6** | **-0.01** | **97.1** | **-0.07** |
| 36 | ბუნებრივი წყალი, მომსახურება წყლის გაწმენდით და მომარაგებით | 100.0 | 0.00 | 101.8 | 0.03 |
| 38 | მომსახურება ნარჩენების შეგროვებით, დამუშავებით და მოცილებით; მომსახურება მასალების უტილიზაციით | 98.5 | -0.01 | 87.6 | -0.10 |

* რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
(წინა თვე = 100)




**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**
(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



20.12.2022

**სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი**

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)




**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge